პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | № 177 (11788) | სამშაბათი, 2 აგვისტო, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

# წინსვლის ბერკეტი

რედაქციაში ყოველდღიურად მოდის ერთიმეორეზე სასიხარულო ნობები რესპუბლიკის სარეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, საკოლმეურნეო სოფლებში ძირული შრომით მოპოვებულ წარმატებებზე. ისინი ნათლად მოწმობენ, რა ძლავრი და დაუშრეტელია მასების შეოქმედებითი ძალა, რომელიც მომართულია კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

რესპუბლიკის მოწინავე სამრეწველო წარმოთა კოლექტივები, რომლებიც ვანით საქმიანობაში ხელმძღვანელობენ ი. ლენინის ბრძნული მითითებით, ომ შრომის ნაყოფიერება, ეს საბოლო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად, ველ ღონეს ხმარობენ ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებისათვის ამ ბაზაზე წარმოების მოცულობის გაართოებისათვის, შრომის ნაყოფიერების ნახრლი აღმავლობისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათს.

საქართველოს ბევრმა საწარმომ სკკპ ენტრალური კომიტეტის ივლისის პლენმისათვის მზადების დღეებში სამშობლოს უპატაკა შვიდწლედის დავალებათა ირული ადრე შესრულებისათვის მოპოვებული ნაბიჯები, ტექნიკური პროგრესის ემბების დაჩქარებაში მიღწეული წარატებები. საწარმო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში ნაყოფიერი მუშაობა გასწია თბილისის კიროვის სახელობის არხსამშენებლო, სახები ჩარხების, ვ. ი. ენინის სახელობის ელმავალსამშენებელი, ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხნებში. უსთავის მეტალურგებმა დაზოგეს 20 ასზე მეტი ტონა ლითონი, 20 მილიონ კილოვატსაათი ელექტროენერგია, ომრეობაში ტექნიკურ გაუმჯობესებათა ანერგვით. შრომის ნაყოფიერების ამაღლებით 20 მილიონ მანეთზე მეტი დაუზოგეს სახელმწიფოს.

დღეს ტექნიკური პროგრესი ჩვენი ონომიკის განვითარების მთავარი მიართულებაა. მხოლოდ წარმოების მაღალი კულტურის, უახლესი ტექნიკის ბაზეზე შეიძლება ვადაზე ადრე და გადარბებით გაჯანსაღდოთ შვიდწლედი, სრულად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა ოდმივად მზარდი მატერიალური მოთოვნილებები. ეს ნათლად ჩანს მოწინავე საწარმოთა მუშაობის მაგალითზე. ასასწინელი წლინახევრის განმავლობაში ალისთან სამრეწველო საწარმოებში დაერგა 82 ავტომატური და ნახევრადატომატური ნაკადური ხაზი, 182 ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარი, მოდერნიზებულია მოწყობილობის 56 ერთეული, დადგმულია 46 ამწესატანსბორტო მექანიზმი. ამის შედეგად ბილისის მრეწველობამ ვადაზე ადრე შეასრულა პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა.

ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების ბაზაზე საქართველოს მრეწველობამ 103 პროცენტით შეასრულა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა. ეს წარმატება მოპოვებულია საქმის უნარიანი გაძღოლით, მრეწველობაში, მშენებლობაზე და ტრანსპორტზე პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებით.

ეს წარმატებები იმის წინაპირობაა, რომ ავიღოთ ახალი სამაღლები, უფრო მძლავრი იერიში მივიტანოთ შვიდწლედის ზღუდეებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებაში მითითებულია, რომ „...მიმდინარე შვიდწლედის ძირეული პრობლემის გადაჭრა — კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში დროის მაქსიმალურად მოგება — შეიძლება მხოლოდ ტექნიკური პროგრესის ტემპის ყოველი ღონისძიებით გაძლიერებისა და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით“.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის უნდა ავამოქმედოთ მთელი ჩვენი რეზერვები და შესაძლებლობანი. მთავარი ის არის, რომ საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია განვახორციელოთ კომპლექსურად და არა ნაწილობრივ, ფართოდ ჩავადათ ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკმეში წარმოების ნოვატორები, შემოქმედი ადამიანები. არ შეიძლება თვალს ვარიდებდეთ იმას, რომ რესპუბლიკაში არიან საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმებს. ეს განსაკუთრებით ეხება შახტებსა და მაღაროებს. ათი წლის წინათ მუშის საშუალო თვიური გამომუშავება ტყვარჩელში შეადგენდა 27,7 ტონა ქვანახშირს, ხოლო შარშან — 28 ტონას; ტყიბულში 1957 წელს — 39 ტონას, ხოლო მიმდინარე წელს — 40 ტონას. შახტებსა და მაღაროებში შრომის ნაყოფიერება თითქმის არ იზრდება, რადგან იქ საათანადოდ არ ზრუნავენ საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ჩვენი რესპუბლიკა გააკრიტიკეს იმისათვის, რომ საქართველოს მთელი რიგი საწარმოები ჩამორჩებიან ახალი ტექნიკის ათვისებაში. გასულ წელს განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მხოლოდ 54 პროცენტი. მოუტევებელია ისიც, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გეგმები ვერ შესრულა 52 საწარმომ. საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ამ სამართლიანი კრიტიკიდან დაუფიქრებლივ უნდა გაკეთონ საჭირო პრაქტიკული დასკვნები, უფრო მეტი მონდომება და უნარი გამოიჩინონ ამისათვის, რომ სახელმწიფო გეგმებს ასრულებდეს ყველა საწარმო ყველა ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით.

ტექნიკური პროგრესის დარგში პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობების კოლექტივების, პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახა რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვის კონკრეტული ამოცანები.

ცნობილია, რომ რესპუბლიკის საწარმოებში ხელით შრომის ხვედრითი წილი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ახალი ტექნიკა, გულისხმიერად მოვეკიდოთ არსებული მოწყობილობის მოდერნიზაციას, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციას და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის რაციონალური მეთოდების გამოყენებას, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დასახა კონკრეტული სამოქმედო პროგრამა ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებისათვის. ახლა გადაუდებელი საქმე ის არის, რომ განვუმტკიცოთ ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს ამ პროგრამის დიდი მნიშვნელობა, დავრაზმოთ ისინი, მაქსიმალურად გამოვიყენოთ რეზერვები იმისათვის, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის ბაზაზე განუხრელად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება — ჩვენი ეკონომიკის განვითარების მთავარი მიმართულება, რომელმაც კომუნისტური შრომის გამარჯვებამდე უნდა მიგვიყვანოს.

## ჯილდო თეატრს

**გრიბოედოვის სახელობის თეატრი დაჯილდოებულია აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით**

**ბაკო, 30 ივლისი.** (საქდესის სპეც. კორ.). დასასრულს უახლოვდება გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის გასტროლები ბაკოში. აზერბაიჯანის დედაქალაქის ბაკოს მშრომელები ძლიერ გულთბილად შეხვდნენ ამ ნიჭიერი კოლექტივის გამოსვლას, შეიყვარეს სტუმართა მკაფიო და საინტერესო ხელოვნება. თეატრის ყველა სპექტაკლი წარმატებით მიმდინარეობდა. თბილისელი მსახიობები შეხვდნენ ბაკოელ მენავთობეებს, ნავთობგადამამუშავებლებს, მანქანათმშენებლებს, სუმგაითელ მილმგლინავებსა და მშენებლებს. ეს შეხვედრები ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების გულითადი ურთვევი მეგობრობისა და ძმობის დემონსტრაციას წარმოადგენდა.

ბაკოსა და მისი რაიონების მშრომელთა წარმატებითი კულტურული მომსახურებისათვის აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი დაჯილდოებულია აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოებულია აგრეთვე თეატრის მუშაკთა ჯგუფი — თ. ბელოუსოვა, ა. ბურდენი, ნ. ბურმისტროვა, ა. ვიპმანი, გ. ვოლინეცი, ე. დონცოვა, ა. ერმილოვი, პ. კანდელაკი, მ. ლევენბერგი, რ. მირიმანოვი, ბ. ნიკიფოროვი, ა. ნირვანოვი, კ. პაპიანი, ი. რუსინოვი, ე. სატინა, დ. სლაინინი, ა. სმირანინი, ვ. სიომინა, ი. შევჩუკი.

ბაკო. ქალაქის ხედი ს. მ. კიროვის სახელობის პარკიდან.
ფოტო ვ. სავოსტიანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ახალ შეხვედრამდე, მეგობრებო!

**დამთავრდა ბ. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის თეატრის გასტროლები ბაკოში**

★

**ბაკო, 1 აგვისტო.** (საქდესის სპეც. კორ.). თვეზე მეტ ხანს იყო სტუმრად აზერბაიჯანის დედაქალაქში ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ათეულ ათასობით ბაკოელი გაეცნო ამ საინტერესო კოლექტივის ხელოვნებას, შეიყვარა მისი ნიჭიერი რეჟისორები, მხატვრები, მსახიობები.

30 ივლისს მ. ახიზბეკოვის სახელობის თეატრის შენობაში მოეწყო გრიბოედოველთა საგასტროლო დადგმების განხილვა. იგი გამართეს აზერბაიჯანისა და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებებმა და ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრმა.

განხილვა გახსნა აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ზ. ნეიმატოვმა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის საგასტროლო რეპერტუარი განიხილა აზერბაიჯანელმა კრიტიკოსმა ი. იბრაჰიმოვმა.

— გრიბოედოვის სახელობის თეატრის შემოქმედება, — თქვა, მან, — გვიზიდავს მაღალი იდეური მიმართულებით, რომელსაც შეიცავს ყოველი სპექტაკლი, დიდი მხატვრული სიმართლითა და გამომსახველობით, არაჩვეულებრივი პროფესიული ოსტატობით. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ მ. ყურბათოვმა, თეატრალურმა კრიტიკოსმა ვ. ბოგუსლავსკიმ და გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ზავრიევმა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ მ. მრევლიშვილმა, თეატრცოდნემ ნ. შვანგირაძემ, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. გოძიაშვილმა და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნ. ბურმისტროვამ და ი. რუსინოვმა მადლობა გადაუხადეს შეკრებილთ ყურადღებისა და მეგობრული კრიტიკისათვის.

გუშინ საღამოს მ. მრევლიშვილის სპექტაკლ „მგზნებარე მეცნიერით“ დამთავრდა ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის გასტროლები ბაკოში.

## სამი ხალხის მეგობრობის საღამო

**ბაკო,** 1 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქის კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მწვანე თეატრში შეიკრიბნენ სამრეწველო საწარმოთა მუშები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მეომრები, მოსწავლე ახალგაზრდობა. ისინი მოვიდნენ ახალგაზრდობის მეგობრობის საღამოზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს და სომხეთის ახალგაზრდობის დელეგაციები, რომელნიც ჩამოვიდნენ აზერბაიჯანის ლენინური კომკავშირის 40 წლისთავის დღესასწაულზე.

ბაკოს კომკავშირის სტალინის რაიკომის პირველმა მდივანმა აზიზ ალიევმა ილაპარაკა დიდ წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვეს ამიერკავკასიის ხალხებმა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სამი რესპუბლიკის მშრომელთა მეგობრობის სიმტკიცეზე.

საღამოზე გამოვიდნენ აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკი ოლეგ კუტინი და კომკავშირის ნარდარკეტის რაიკომის მდივანი ედუარდ ბაგირიანი. მათ ილაპარაკეს სამი რესპუბლიკის ახალგაზრდობის მეგობრობასა და სოციალისტურ შეჯიბრებაზე.

ახალგაზრდა პოეტმა რაფიგა ხუსეინოვამ წაიკითხა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი ლექსი.

მეგობრობის საღამო დამთავრდა დიდი კონცერტით, რომლის პროგრამაში იყო აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხური სიმღერები და ცეკვები.

## ა. მიქოიანმა მიიღო

**კუბის მშრომელთა კონფედერაციის დელეგაცია**

30 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა მიიღო კუბის მშრომელთა კონფედერაციის დელეგაცია.

დელეგაციის ხელმძღვანელმა ალვარეს დე ლა კამპამ სთხოვა კუბის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამი და მადლობა გადასცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს კუბელი ხალხის სამართლიანი საქმის მხარდასაჭერად მისი გამოსვლისათვის.

დელეგაციის მეთაურმა განაცხადა, რომ კუბის მშრომელთა კონფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება — შეუერთდეს იმ მიწვევას, რაც ფიდელ კასტრომ გაუგზავნა ნ. ს. ხრუშჩოვს ესტუმროს კუბას. ამრიგად, აღნიშნა ალვარეს დე ლა კამპამ, ნ. ს. ხრუშჩოვი არა მარტო კუბის რესპუბლიკის მთავრობის, არამედ კუბის ყველა მშრომელის ძვირფასი სტუმარი იქნება. (საქდესი).

## თათბირი ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის საკითხებზე

29 ივლისს დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მიერ მოწვეული თათბირი, რომელიც მიეძღვნა ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის საკითხებს. თათბირმა სამ დღეს გასტანა. მას დაესწრნენ პარტიული მუშაკები, პროპაგანდისტები, სემინარების, წრეებისა და სკოლების ხელმძღვანელნი, პრესისა და რადიოს მუშაკები.

თათბირმა მოისმინა მოხსენებანი: სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის ვ. ი. სტრაპანოვისა „მუშებში ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის გამოცდილების შესახებ“, უკრაინის კომპარტიის ლვოვის საოლქო კომიტეტის მდივნის ფ. ტ. კოვალისა „კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებში ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის შესახებ“, ბელორუსიის კომპარტიის ბრესტის საოლქო კომიტეტის მდივნის ნ. ნ. ბოგატიროვის „ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის ორგანიზაციის ფორმებისა და ამ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მოშლის გზით. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ცდები უკვე თავისთავად გვიჩვენებენ კოლონიზატორთა ბარბაროსულ სახეს და ცხადყოფენ, რომ მათი განცხადებანი, თითქოს ისინი ზრუნავენ კოლონიურ ხალხთა და იმ ქვეყნების ხალხთა მოსახლეობის მდგომარეობაზე, რომლებმაც დამოუკიდებლობა მიიღეს, გახვრეტილ ფარადაც არა ღირს, ისევე როგორც მათი მტკიცება კოლონიალიზმის ვითომდა ცივილიზატორული მისიის შესახებ.

ახლა, როცა ყველას თვალწინ ცდილობენ წაართვან კონგოს ხალხს მის მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობა, როცა ცდილობენ დაანაწილონ კონგოს რესპუბლიკა, მოშალონ მისი ეკონომიკა და შიმშილის საშუალებით გატეხონ კონგოს ხალხის ნება, რომელიც თავის კანონიერ უფლებებსა და თავის დამოუკიდებლობას იცავს, ოვითეული სახელმწიფო, რომლისთვისაც ძვირფასია ხალხთა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეალები, მოგალეა ეკონომიურად დაეხმაროს კონგოს რესპუბლიკას.

კონგოს მთავრობამ საბჭოთა მთავრობას აცნობა, რომ იგი მიმართავს საბჭოთა კავშირს, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებს, და სთხოვს გაუწიონ ასეთი დახმარება.

განიხილა რა მდგომარეობა და აღნიშნული თხოვნა, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დადებითად განიხილოს კონგოსათვის ფართო ეკონომიური დახმარების აღმოჩენის საკითხი, რათა რესპუბლიკაში შეიქმნას მისი სამეურნეო ცხოვრების ნორმალური პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ კონგოს ხალხს საკუთარი ეროვნული ინტერესებისათვის, თავისი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის გამოიყენოს თავისი ქვეყნის მდიდარი რესურსები.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის მთავრობამ უკვე გაგზავნა კონგოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში 10 ათასი ტონა სასურსათო დახმარება, საბჭოთა თვითმფრინავები მონაწილეობას იღებენ კონგოში იმ ჯარების გადაყვანაში, რომლებიც იგზავნებიან უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, აგრეთვე ტვირთის გადაზიდვაში კონგოელი ხალხისა და მთავრობისათვის დახმარების გასაწევად მათ სამართლიან ბრძოლაში იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ. უახლოეს დროში კონგოს ნაბირებისაკენ წავა კიდევ ერთი საბჭოთა გემი და კონგოს რესპუბლიკაში ჩაიტანს 100 საბჭოთა სატვირთო ავტომანქანას, მათი სათადარიგო ნაწილების კომპლექტსა და სარემონტო სახელოსნოს ინსტრუქტორთა ჯგუფის თანხლებით. სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირი უახლოეს დროში გაგზავნის კონგოს რესპუბლიკის განკარგულებაში საბჭოთა ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის ჯგუფს, აგრეთვე გზავნის მედიკამენტებსა და საჭირო სამედიცინო მოწყობილობას.

საბჭოთა კავშირი მზად არის გაუწიოს კონგოს რესპუბლიკას ეკონომიური და ტექნიკური დახმარება და განავითაროს მასთან ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური თანამშრომლობა და სავაჭრო ურთიერთობა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ პატივისცემის პრინციპის საფუძველზე და ამასთან არ წამოყენოს პოლიტიკური, სამხედრო ან სხვა ხასიათის არავითარი პირობა, რომელიც შელახავს კონგოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ინტერესებსა და სუვერენულ უფლებებს.

## მახარაძელთა დელეგაცია უკრაინაში

**მახარაძე.** (საკ. კორ.). 31 ივლისს მახარაძის რაიონის მშრომელთა დელეგაცია გაემგზავრა უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან უ. ურუშაძე (პარტიის მახარაძის რაიკომის მეორე მდივანი, დელეგაციის ხელმძღვანელი), ლ. პატარავა (პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი), გ. ვასაძე (სოფელ ასკანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ს. ღომჯარია (სოფელ ჭანეთის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე), გ. მეკავია (რაიონის ვეტექიმი).

მახარაძელები თავიანთ მეგობრებთან რამდენიმე დღეს დარჩებიან და შეამოწმებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, გაეცნობიან გენიჩესკელთა მიღწევებს და სოფლის მეურნეობის ეკონომიკას.

## დეპეშების გაცვლა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ი. მაგას შორის

დაგომეის რესპუბლიკის პრეზიერ-მინისტრმა იუბერ მაგამ აცნობა საბჭოთა მთავრობას, რომ ოგომეის დამოუკიდებლობა გამოცხადდება 1960 წლის 1 აგვისტოს 00 საათზე.

პასუხად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დაგომეის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ცნობს დაგომეის რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და მზად არის დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, ნათქვამია დეპეშაში, რომ მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელიც უკვე არსებობს სსრ კავშირსა და აფრიკის სხვა ქვეყნებს შორის, განვითარდება ჩვენს ორ ქვეყანას შორისაც. (საკდესი).

## კურსი კონგოსაკენ

**„ლენინოგორსკის“ რეისი წარმატებით მიმდინარეობს**

**ოდესა, 31 ივლისი.** (საკდესი). შავი ზღვის თბომავალი „ლენინოგორსკი“, როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო პრესაში, ამ დღეებში ოდესის ნავსადგურიდან კონგოსაკენ გაემართა. თბომავლის ტრიუმებში არის 10 ათასი ტონა ხურსათი — საბჭოთა კავშირის საჩუქარი კონგოს ხალხისადმი.

როგორ მიმდინარეობს ეს რეისი?

კაპიტანი ა. გ. ტრეტიაკი რადიოთი იუწყება:

— რეისი წარმატებით მიმდინარეობს. გემის სვლის სიჩქარე ნავარაუდევს აღემატება. ეკიპაჟის ყველა წევრი საუკეთესო განწყობილებაზეა. ვახტებმა, გემბანისა და სამანქანო კომანდებმა გაიჩალეს შეჯიბრება საპატიო დავალების ვადამდე შესრულებისათვის.

კონგოს გმირ ხალხს სურსათს თავის დროზე ჩავუტანთ.

## დიდი შრომითი წარმატება

**საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხანაგ ვ. დ. კოზაევს**

**სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ვ. გ. სანაკოევს**

**საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხანაგ ნ. თ. ზადიშვილს**

**სამხრეთ ოსეთის ოლქის ყველა მშრომელს**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 101,5 პროცენტით, ვერცხლისა — 100.6 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის 164 პროცენტით შესრულებას.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ლენინგორისა და სტალინირის რაიონებმა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მებაღეობის, როგორც ოლქის ეკონომიკის საფუძვლის, განვითარების და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, ხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

**საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის მდივანს ამხანაგ გ. დ. ყიფიანს**

**საჩხერის რაიალმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. მ. გოგატიშვილს**

**საქართველოს ალკკ საჩხერის რაიკომის მდივანს ამხანაგ თ. პ. გოშაძეს**

**საჩხერის რაიონის ყველა მშრომელს**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 105,6 პროცენტით, რძისა — 103,4 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით შესრულებას.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ოსეთ-ირტავაზის (თავმჯდომარე თამარ სიმონის ასული შაორშაძე), ორღულის (თავმჯდომარე ივანე ისაიას-ძე ჭიღლაძე), კალვათის (თავმჯდომარე გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ძინძიბაძე) კოლმეურნეობებმა და სხვებმა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მევენახეობის განვითარების და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

## მეგობრობის ვიზიტი დამთავრდა

**ლენინგრადი,** 29 ივლისი. (საკდესი). ხუთ დღეს იყვნენ ლენინგრადში სტუმრად ფინეთის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ მეგობრობის ვიზიტით. დღეს ნაშუადღევს ვიზიტის პროგრამაა, რომელსაც ფინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა კონტრ-ადმირალმა ო. ტ. კოივისტომ უწოდა „ვრცელი, მრავალფეროვანი და ფრიადი საინტერესო“, ამოიწურა.

კონტრ-ადმირალმა ო. ტ. კოივისტომ დღეს ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოფიცრის სახლში გამართა სადილი, რომელზეც მოწვეული იყვნენ საბჭოთა ოფიცრები, ადმირალები და გენერლები, ქალაქის საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლნი. სადილმა გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

## მოსკოველები ეცნობიან ქართულ ხალხურ ხელოვნებას

**1 აგვისტოს** მოსკოვში გაიხსნა გამოფენა „საქართველოს სსრ ხალხური და გამოყენებითი ხელოვნება“. იგი მოწყობილია რესპუბლიკის პავილიონში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა სრულიად საკავშირო გამოფენაზე. 370 ექსპონატი ნათლად აცნობს მნახველთ სახალხო ხელმარჯვეთა და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებას.

უხვად არის წარმოდგენილი კერამიკა. საქართველო უძველესი დროიდან იყო განთქმული თავისი ოსტატებით, რომელთაც შეეძლოთ თიხით შეექმნათ შესანიშნავი ნაკეთობანი. მხატვრებმა გამოიყენეს ძველი ტრადიციები და შექმნეს ახალი ჭურჭლისა და ორნამენტების ახალი ფორმები.

მხატვარმა ზ. მაისურაძემ ქამანურის ბარელიეფების სერია მოამზადა ქართული ხალხური დღესასწაულის ბერიკაობის თემებზე. ნახა კიკნაძემ შარშან დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. გამოფენაზე ექსპონირებულია მისი საყვავილე ვაზა, ღვინისა და წყლის ჭურჭლები, თეფშები.

გორის რაიონში ფართოდ არის ცნობილი შთამომავლობითი მეთუნის ისაკ ტატულაშვილის ოჯახი. შვილ ომართან ერთად მან გამოფენისათვის გააკეთა საოჯახო კერამიკული ჭურჭელი. საქართველოს სხვა რაიონების ხალხურმა ხელმარჯვეებმა გამოფენაზე გამოგზავნეს ხეურჯინი, ნაქსოვი ფიფსაცმელი და წინდები, სუფრები და ბალიშის პირები.

საინტერესოა ქართული მუსიკალური ინსტრუმენტები ჩონგური, ფანდური, ჩანგი, რომლებიც ოსტატ მ. მორთულაძეს შეუქმნია მხატვარ ა. ყოლენტის ესკიზების მიხედვით. არტელ „მხატვარის“ ოსტატებმა წარმოადგინეს ვერცხლის მოჩუქურთმებული, მოსევადებული ნაკეთობანი.

ორიგინალურია ნ. ოქროპირიძის ექსპონატები. პროფესიით მოქანდაკე, იგი მესამე წელია გატაცებულია მინიატიურებით, რომლებსაც ქმნის ბუნებრივი მასალებით — ხის ქერქით, სოკოებით, ხავსით, მცენარეთა თესლით, ყვავილებით. ნ. ოქროპირიძეს გამოფენაზე წარმოადგინა აგრეთვე რქისა და ძვლის ნაკეთობანი, ამულეტები.

მოსკოველები გაეცნობიან ქართველ ოსტატთა ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს ერთი თვის განმავლობაში. (საკდესი).

## მეგობ

# მკვლელ ცოლ ქმრისა ოქმიანები

# ოქროს ხელით

**მაყვალამ** ბავშვობიდანვე შეიყვარა ჩაის ფოთლის კრეფა. იგი ზმირად ახლდა პლანტაციაში ხან დედას, ხან მამიდას. პირველად სასმელი წყლის მოტანას თუ დაავალებდნენ ხოლმე.

გავიდა ხანი, სწავლაც დაიწყო. სკოლიდან დაბრუნებისა და გაკვეთილის მომზადების შემდეგ მაყვალა კვლავ ჩაის პლანტაციას მიაშურებდა.

— შენ აქ რა გინდა, შვილო, წადი სახლში, გაკვეთილები მოამზადე, — ეუბნებოდა დედა.

— კი, დედიკო, ცოტას კრეფაში დაგეხმარები, გაკვეთილებიც უკვე მოვამზადე და თუ ცოტა დამრჩა, შემდეგიც მოვასწრებ.

— რა დროს შენი ჩაის კრეფა, ჯერ პატარა ხარ, — ალერსით მიმართავდა მამიდა.

მაყვალა მაინც თავისას აკეთებდა. კარგადაც სწავლობდა და ჩაისაც კრეფდა. პატარა ხელებით მოკრეფილ ღუყებს ხან დედას ჩაუყრიდა კალათში, ხან მამიდას, თანაც დაიტრაბახებდა — ყველაზე ბევრი მე მოვკრიფეო.

1948 წელმა დიდი სიხარული მოუტანა ჯინჭარაძეების ოჯახს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მაყვალას მამიდას — გული ჯინჭარაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. მთელმა ქვეყანამ გაიგო გულის შრომითი გმირობის ამბავი. ყველა მასზე ლაპარაკობდა.

არ გასულა ორი წელი და მამასაც, მერგოლურ თეკრათ ოსმანის-ძე ჯინჭარაძეს მიანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

— მამიდა გმირია, მამაც გმირია, რატომ არ შეიძლება მეც გმირი გავხდეო, რაა აქ ძნელი. მოვუვლი ჩაის პლანტაციას, მოვიყვან უხვ მოსავალს, დროზე მოვკრეფ შემოსულ ფოთოლს და სახელმწიფოს ჩავაბარებ. ამას რი უნდა! ალბათ მონდომებას, მერე და მეც მოვინდომებ,— ფიქრობდა თავისთვის მაყვალა.

გაიარა წლებმა. მაყვალამ დაამთავრა რვა კლასი და საკოლმეურნეო შრომაში ჩაება, 1956 წლის დასაწყისში 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია ჩააბარეს მოსავლელად. მან სწრაფად აითვისა ჩაის აგროტექნიკა. ამასთან კარგად შეიისწავლა მამიდის მუშაობის გამოცდილება. ხშირად იღებდა მისგან რჩევა-დარიგებას, არც მამა აკლებდა ყურადღებას.

ენერგიული შრომით მაყვალა ყოველწლიურად ზრდიდა ჩაის უხვ მოსავალს. 1957 წელს მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაუბარა 6.445 კილოგრამი, 1958 წელს — 6.390, ხოლო 1959 წელს — 8.359 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი; ე. ი. ჰექტარზე 16.700 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი.

მიმდინარე წლის 8 მარტს რადიომ სასიხარულო ცნობა აუწყა ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყეთის მშრომელებსაც. მათს თანასოფლელს მაყვალა თეკრათის ასულ ჯინჭარაძეს, ჩაის სარეკორდო მოსავლის მიღებისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ამ დროს მაყვალა მოსკოვში იმყოფებოდა. იგი მონაწილეობას იღებდა ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის 50 წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულში, ამ ისტორიულ თარიღთან დაკავშირებით მოწყობილ დარბაზობასაც ესწრებოდა კრემლში.

ორაერთი და ორი მოსალოცი დეპეშა მიიღო მაყვალამ. სიხარულის ცრემლი მოერია თვალზე, როცა საზეიმო მიტინგზე წაიკითხეს რამდენიმე ამაღლებული დეპეშა. ი ი ესენი:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე სწერს მაყვალას: „სულით და გულით გილოცავთ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდების მინიჭებას. გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს შრომაში“.

„საკავშირო ალკაკ ცენტრალური კომიტეტი, — სწერს საკ. ალკაკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ს. პავლოვი, — გულითად სალამს გიძღვნის თქვენ, მაყვალა თეკრათის ასულო, ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის დღეს და მხურვალედ მოგილოცავთ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდების მინიჭებას.

თქვენი დიდი შთამაგონებელი შროშა წარმოადგენს მაგალითს მილიონობით საბჭოთა ქალებისა და ქალიშვილისათვის. გისურვებთ ახალ შრომითს მამაცობას, მტკიცე ჯანმრთელობასა და დიდ ბედნიერებას ცხოვრებაში“.

მისასალმებელი დეპეშები გამოუგზავნეს მაყვალას აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა მაცკევიჩმა და ბევრმა სხვა ხელმძღვანელმა მუშაკმა.

აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს კოლმეურნეობის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გული ავიძბამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მაყვალა ჯინჭარაძე, რომელმაც დიდი სიამოვნებით მიიღო ეს გამოწვევა და იკისრა ახალი ვალდებულებანი.

— მუდამ დარჩება ჩემს მეხსიერებაში, — ამბობს მაყვალა, — მოსკოვი, კრემლი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრა, ლენინის ორდენისა და ოქროს ვარსკვლავის გადმოცემა. ეს უდიდესი მოვლენაა ჩემს ცხოვრებაში. ჩემი შრომის ამ უდიდეს შეფასებას ახალი შრომითი წარმატებებით ვუპასუხებ. 1960 წელს 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან მოვკრეფ და სახელმწიფოს ჩავაბარებ 9 ათას კილოგრამ ჩაის ხარისხოვან ფოთოლს.

გეგმით მაყვალას 5 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი უხდა მოეკრიფა. 20 ივლისსათვის მას უკვე მოკრეფილი ჰქონდა 7.200 კილოგრამი.

გვჯერა, რომ პირნათლად დაანაღდებს ნაკისრ ვალდებულებას სოციალისტური შრომის გმირი მაყვალა ჯინჭარაძე.

**დ. დიასამიძე.**

* * *

**სურათზე:** მაყვალა ჯინჭარაძე.

# ფიზიკოსთა სამჭედლო

**ᲩᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲒᲐᲜᲣᲣᲠᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲐᲜ.**

**(სკკპ ცკ-ის ივლისის პლენუმის დადგენილებიდან).**

## რომელი მეცნიერება გიზიდავთ?

**უᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ** ოცი-ოცდაათი წლების მანძილზე მეცნიერების სხვა დარგებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წამყვანი გახდა ფიზიკის მეცნიერება. ფიზიკური მეთოდები, იდეები და ხერხები ღრმად შეაღწია და ფართოდ არის გამოყენებული ჩვენს ცხოვრებაში და თითქმის ყველა მეცნიერებაში.

ფიზიკის განვითარების შედეგად შეიქმნა მეცნიერების ისეთი ახალი დარგები, როგორიც არის რადიოფიზიკა, ბიოფიზიკა, ფიზიკური ქიმია, გეოფიზიკა, ასტროფიზიკა, რადიოტექნიკა, ნაწილაკთა კიბერნეტიკა და სხვ.

ფიზიკური მეთოდები გამოყენებულია სამყაროს ყოველმხრივ შესწავლისათვის, უმცირესი ობიექტით — ელემენტარული ნაწილაკით დაწყებული და კოსმოსური სივრცით დამთავრებული. ცხადია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საზოგადოებისათვის ფიზიკოსების კარგად მომზადებული კადრების აღზრდას. ამ ძნელ და საპატიო ამოცანას საქართველოში ემსახურება თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, რომელიც უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი უჯრედია.

ფიზიკის ფაკულტეტის სტაციონარულ და საღამოს განყოფილებებზე სწავლობს 17 სხვადასხვა ეროვნების 1.200-მდე სტუდენტი. ფაკულტეტზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ და რუსულ ენებზე (სათანადო სექტორების მიხედვით).

ფიზიკის ფაკულტეტი ამზადებს „ფიზიკოს-მკვლევარის“ და „ფიზიკოს-პედაგოგის“ კვალიფიკაციის სპეციალისტებს. სწავლების ვადა ხუთნახევარი და ხუთი წელია. საღამოს განყოფილებაზე სწავლება ხუთი წლითა და ათი თვით არის განსაზღვრული.

სტუდენტთა მომზადების საქმეს რვა კათედრა ემსახურება — ექსპერიმენტული ფიზიკის, ბირთვული ფიზიკის, რადიოფიზიკის, მყარი სხეულების ფიზიკის, თეორიული ფიზიკის, გეოფიზიკის, ზოგადი ფიზიკისა და უმაღლესი მათემატიკის კათედრები.

აღნიშნული კათედრების მუშაობა უზრუნველყოფს ახალგაზრდა ფიზიკოსების მომზადებას ვიწრო სპეციალიზაციით (ბირთვული ფიზიკა, რადიოფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა, დაბალი ტემპერატურების ფიზიკა, თეორიული ფიზიკა, გეოფიზიკა და ფიზიკური კიბერნეტიკა), რომელთა მიხედვით სტუდენტების დაყოფა მესამე კურსიდან ხდება.

ბირთვული ფიზიკის სპეციალიზაციის სტუდენტები სასწავლო გეგმით ეუფლებიან მაღალი ენერგიის ნაწილაკების თვისებებს და კოსმოსური სხივების ფიზიკას, დამუხტული ნაწილაკების ხელოვნური აჩქარებისა და აღრიცხვის მეთოდებს, რადიაქტიული ელემენტების ფიზიკას, ნეიტრონების თვისებებს, რადიაქტიული გამოსხივებისაგან დაცვის მეთოდებს და სხვ. ამასთანავე ამ სპეციალობის, ისევე როგორც სხვა ექსპერიმენტული განხრის სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკას ცხრა თვის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საწარმოსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში (მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ყაზანში, ბაკინსკაიაში, ალმა-ათაში, ტბილისში, ერევანში, ბაკურიანში, ბაქოში, ტაშკენტში, ფოთში, ბორჯომში, ზუგდიდში, ფოთში, ბორჯომში, ზუგდიდში, ფოთში, ბორჯომში, ზუგდიდ

# სსრ კავშირის მეგობართა დღე

**პრაღა**, 31 ივლისი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ პრაღაში, საიუბილეო გამოფენაზე — „1960 წლის ჩეხოსლოვაკია“ მოეწყო საბჭოთა კავშირის მეგობართა დღე.

გამოფენაზე ჩამოვიდნენ მოქალაქენი ჩეხოსლოვაკიის ყველა კუთხიდან.

პანორამულ კინოთეატრში, რომელიც აღჭურვილია საბჭოური წარმოების აპარატურით, უჩვენეს მთელი რიგი საბჭოთა ფილმები.

დოკუმენტურმა ფილმებმა მაყურებლებს გააცნეს ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტები ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და ავსტრიაში. გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა ფილმს „ჯარისკაცის ბალადას“.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღემ დიდი წარმატებით ჩაიარა.

# ლუმუმგას განცხადება

**ნიუ-იორკი**, 31 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნალის სააგენტოს კორესპონდენტი ოტავიანი იუწყება, კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ დიპლომატიკერთან შეხვედრის შემდეგ კორესპონდენტებს აუწყა, რომ კანადაში ჩასულნენ სპეციალისტებს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და ავიაციის დარგში, ექმიმებს, სამედიცინო დებს, რადიოს და ინფორმაციის სამსახურის მუშაკებს, რომლებთანაც კონგოს მთავრობა ორმხრივ თანამშრომლობას განახორციელებს.

## „ჩვენ გვინდა, რომ ბელგიის ჯარები წავიდნენ“

**ნიუ-იორკი**, 1 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ნიუ-როშეველან (ნიუ-იორკის გარეუბანი) იუწყება, იქ ამჟამად მყოფება კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ლუმუმბა. მან მკვეთრად დაგმო ბელგიის მთავრობა, რომელმაც გაცხადა, რომ იგი კონგოდან გამოიყვანს მეკამად ამ ქვეყანაში მყოფი 10 ათასი ბელგიელი ჯარისკაციდან მხოლოდ 1.500 ჯარისკაცს.

„ჩვენ გვსურს მშვიდობა, — განაცხადა ლუმუმბამ. — შესაბამისად, ჩვენ ვთხოვნდა, რომ ბელგიის ჯარები წავიდნენ ჩვენი ქვეყნიდან, რათა შეიძლებოდეს მშვიდობის აღდგენა“.

# დაინიშნა კონგოს არმიის ახალი სარდალი

**პარიზი**, 31 ივლისი. (საკდესი). ლეოპოლდვილიდან მიღებული ცნობებით, ბელგიის კონგოს რესპუბლიკის დედაქალაქის ბანდეროი ბანაკში რესპუბლიკის პრეზიდენტმა კასავუბუმ საზეიმო ვითარებაში ბრიგადა-მაიორის წოდება მიანიჭა ვიქტორ ლუნდულას და გამოაცხადა, რომ ეგი დანიშნულია ახალგაზრდა კონგოს არმიის სარდლად. ცერემონიის შემდეგ ბანაკიდან დედაქალაქის გარნიზონის ჯარების პარადი.

# ბონის პროვოკაციები

**ბერლინი**, 31 ივლისი. (საკდესი). როგორც აქ იუწყებიან, უკანასკნელ დღეებში ბონის სასაზღვრო დაცვის მოსამსახურეებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დასავლეთ სახელმწიფო საზღვარზე განახორციელეს ახალი პროვოკაციები იმ მიზნით, რომ გამოეწვიათ ინციდენტები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე. 25 ივლისს მიულპაუზენის სასაზღვრო ოლქში. ბრაუნროდის მახლობლად საზღვართან გამოჩნდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც შეეცადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა პროვოცირებას.

იმავე დღეს დერმბახის სასაზღვრო რაიონში კეტენ-გოტჰარდსის გზაზე განხორციელდა კიდევ ერთი პროვოკაცია. სატვირთო ავტომანქანიდან, რომელიც უშუალოდ საზღვართან მივიდა, გადმოვიდა სამი სამოქალაქო პირი, რომლებიც შეიჭრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

26 ივლისს ჰაილიგენშტადტის რაიონში, არენსაზენის მახლობლად, ვიტცენჰაუზენში, შლაგბაუმთან ორი სამოქალაქო პირი შეეცადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო პოლიციის პატრულის პროვოცირებას.

როგორც აღნიშნულია ცნობაში, ზოგიერთ შემთხვევაში დასავლეთ გერმანიის სასაზღვრო დაცვის მოსამსახურენი იმყოფებოდნენ უშუალო სიახლოვეს და თვალყურს ადევნებდნენ პროვოკატორებს.

დერმბახის სასაზღვრო რაიონში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებს დასავლეთ გერმანიის ტერიტორიიდან ქვებს ესროდნენ.

მოყვანილია აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დასავლეთ საზღვარზე მომხდარი სხვა პროვოკაციების ფაქტები.

ცნობაში აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა თავშეკავებული მოქმედების შედეგად ამ პროვოკაციებს წარმატება არ მოჰყოლია. ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ასეთ პროვოკაციათა ინიციატორებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათი შედეგებისათვის.

# თაღლითობა, სიყალბე, ტერორი

## სამხრეთ კორეაში გაყალბებული არჩევნების შემდეგ

*

**ფხენიანი**, 31 ივლისი (საკდესი). სამხრეთ კორეის ეროვნული კრების არჩევნებმა, რომელიც 29 ივლისს გაიმართა საგანგებო წესების, თაღლითური მაქინაციებისა და ტერორის პირობებში, მაინც სრული დამარცხება მოუტანა ლისინმანელთა ლიბერალურ პარტიას. ლიბერალებმა მხოლოდ ერთი ადგილი მიიღეს პარლამენტის ზედა პალატაში. ბევრმა ლისინმანელმა ლი სინ მანის მთავრობის დამარცხების შემდეგ თავი გამოაცხადა „დამოუკიდებლად“. ხელისუფლების სათავეში მდგომი ხო ჯონის ხროვა ხელს უწყობდა ამ „დამოუკიდებელთა“ მაქინაციებს, და მათ მაინც მოახერხეს ეროვნულ კრებაში გაეყვანათ მხოლოდ 41 დეპუტატი.

ეროვნულ კრებაში ადგილების უმეტესობა მიიღო დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც აგრეთვე არ მოერიდა მიღებულ ტენების ფალსიფიკაციას, მოსყიდვასა და სხვა მაქინაციებს.

გუშინ და დღეს სამხრეთ კორეაში მოეწყო სახალხო დემონსტრაციები კენჭისყრისა და ხმების დათვლის დროს ბოროტმქმედებათა წინააღმდეგ.

დღეს საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა ქალაქებში სამჩუნსა და დეჯონში, სადაც დემონსტრანტებმა დაწვეს 53 უუთი ბიულეტენებიანად. სამხრეთ კორეის შინაგან საქმეთა მინისტრმა ლი ხომ მთავრობას ნებართვა სთხოვა გაეგზავნა კეჯონში სამხედრო პოლიცია დემონსტრაციის ჩასახშობად. ქალაქ ჩანენში დემონსტრანტებმა დაარბიეს პოლიციის სამმართველო.

რინჭეს მაზრის (კანგონის პროვინცია) მოსახლეობა, რომელიც აღაშფოთა ლისინმანელთა ლიბერალური პარტიის უოფილი წევრის თაღლითურმა „არჩევამ“, გუშინ თავს დაესხა სამაზრო საადმინისტრაციო სამმართველოს შენობას და დაწვა ყველა საარჩევნო უუთი და ბიულეტენები. ქალაქში გაიმართა დემონსტრაცია, რომელმაც რამდენიმე საათს გასტანა.

სამხრეთ კორეის პრესის ცნობით, დემონსტრაციათა ფალსიფიცირებული არჩევნების წინააღმდეგ გაიმართა ნამბანგში, ტეგუსა და სხვა რაიონებში.

# ნიასალენდის ხალხი მოითხოვს...

**ლონდონი**, 31 ივლისი. (საკდესი). ლონდონში გრძელდება მოლაპარაკება ნიასალენდის მომავალი კონსტიტუციის საკითხის თაობაზე. როგორც ცნობილია, ეს მოლაპარაკება დაიწყო ნიასალენდის მკვიდრი მოსახლეობის ზეგანლენით, რომელიც თვითგამორკვევის უფლებას მოითხოვს.

მაგრამ, როგორც ჩანს ამ მოლაპარაკებაში ინგლისის წარმომადგენლის — კოლონიების მინისტრის მაკლეოდის განცხადებიდან, ინგლის სრულიადაც გათვალისწინებული არა აქვს დაკმაყოფილოს ეს მოთხოვნა. მაკლეოდმა აშკარად განაცხადა, რომ მას განზრახული არა აქვს მიიღოს ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა ნიასალენდის მთელი მოსახლეობისათვის „ერთი კაცი — ერთი ხმა“ პრინციპის მიხედვით ხმის უფლების მინიჭება, როგორიცაა დამოუკიდებელი აღმასრულებელი ორგანოს შექმნა ნიასალენდში, რომლის წევრთა უმრავლესობას შეადგენენ არჩეული პირები. მან განაცხადა, რომ აღმასრულებელი ორგანო უნდა წარმოადგენდეს ინგლისის გუბერნატორთან არსებულ „საკონსულტაციო ორგანოს“ და თეორკანიანმა მოსახლეებმა (რომლებიც ნიასალენდში სულ რამდენიმე ათასი კაცია, მაშინ, როცა ამ ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხვი 2.750.000-ია. — **რედ.**) კვლავაც უნდა შეასრულონ „დიდმნიშვნელოვანი როლი“ კოლონიის ცხოვრებაში.

ასშალტზე გდია ეს კონგოელი და ხისხლი ხდის. პლანტატორის ტყვიამ იგი სიცოცხლეს გამოასალმა, რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ მან გაბედა და აუგად მოიხსენია თავისი „მეპატრონე“.

ასეთი სცენები სულ ცოტა ხნის წინათ ჩვეულებრივი იყო ლეოპოლდვილის ქუჩებში, კონგოს სოფლებში — ყველგან, სადაც კოლონიზატორები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი ბატონობა, რომელიც წარსულს ბარდება. ოდნავი ურჩობისათვის— სიკვდილი, არამაამბელი სიტყვისათვის — სიკვდილი, ალმაცერად შეხედვისათვის — სიკვდილი. ასეთია „ცივილიზაცია“, რომელიც ბელგიელებმა კონგოს მიუტანეს და რომლისთვისაც, მათ რომ ჰკითხოთ, კონგოელები მათი მადლობელი უნდა იყვნენ.

კონგოელისათვის მხეცურად ანგარიშის გასწორების მოწმე ამჭერად გახდა გაერთიანებული ერების ჯარების შემადგენლობაში შემავალი განის ჯარების სარდალი ინგლისელი გენერალი ალექსანდერი. ხოლო რამდენი ასეთი სცენა არ აღუბეჭდია ფოტოაპარატის ობიექტივს?

მაგრამ ტერორი ვერ გატეხს თავისუფლებისმოყვარე კონგოელი ხალხის ნებისყოფას.

(ფოტო დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „კვიკიდან“).

# შეიქმნება კონგოს კომისია

**ლონდონი**, 31 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, გუშინ კონგოს რესპუბლიკის მთავრობის მეორე სხდომის შემდეგ, რომელსაც ესწრებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე სპეციალურ პოლიტიკურ საკითხებში რალფ ბანჩი, გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ შეიქმნება კონგოს კომისია, მთავრ განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია კონგოს შესახებ.

კომუნიკეში, კერძოდ, ნათქვამია: „ეს კომისია იმუშავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან მჭიდრო თანამშრომლობით იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ორი რეზოლუცია, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომლებიც კატანგის პრობლემას შეეხებიან“.

# დაგომეა აფრიკის ახალი სახელმწიფოა

**პარიზი**, 1 აგვისტო. (საკდესი). დღეს 00 საათზე გაიმართა დაგომეის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების საზეიმო ცერემონია. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობებით, შესაბამის დოკუმენტებს ხელი მოაწერეს 30 ივლისს საფრანგეთის მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა ლუი ჟაკინომ და დაგომეის პრემიერ-მინისტრმა იუბერ მაგამ.

• • •

**დაგომეა** მდებარეობს გვინეის ყურის სანაპიროზე. დასავლეთით იგი ესაზღვრება ტოგოს, აღმოსავლეთით — ნიგერიას, ჩრდილოეთით — ზემო ვოლტასა და ნიგერს. დაგომეის ფართობი შეადგენს 118 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა 1.600 ათასზე მეტ კაცს.

საფრანგეთის იმპერიალისტებმა, რომლებმაც დაგომეა დაიპყრეს გასული საუკუნის 90-იან წლებში, ახალ სახელმწიფოს მემკვიდრეობად დაუტოვეს უაღრესად ჩამორჩენილი ეკონომიკა. დაგომეელთა ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, აგრეთვე მეცხოველეობა და თევზჭერა, გლეხებს აქვთ ზეთოვანი პალმისა და ბამბის პლანტაციები, რომლებიც ევროპელებს ეკუთვნით. მრეწველობა ტიპიურად კოლონიური ხასიათისაა.

დაგომეის რესპუბლიკა რჩება საფრანგეთის გაერთიანებაში.

# ინდოეთის ჩანაწერები

◆ **ბელგრადში** გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება კლასიკურ ბიდობაში იუგოსლავიისა და შვეიცარიის ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა ბრწყინვალე გამარჯვებით ანგარიშით 5,5:2,5. აღსანიშნავია, რომ შვიდ შეხვედრაში მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთზე ქულებთა გაიმარჯვეს.

◆ **ბრაზილიაში** ჩატარდა რომის ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეთა შერჩევითი შეხვედრა ცურვაში. ახალგაზრდა სპორტსმენმა მაწოლილ დოს სანტოსმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უჩვენა მსოფლიოში ერთერთი საუკეთესო დრო 55,6 წამი.

◆ **შვეიცარიის** ახალი რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში დაამყარა ხ. მაუერერმა, რომელიც გადახტა 2 მეტრზე. მთელი ათი წლის განმავლობაში სპორტის ამ სახეობაში ქვეყნის ჩემპიონი იყო ხ. ვალი, რომლის შედეგი იყო 1 მეტრი და 95 სანტიმეტრი.

# ინდოეთიდან

**ბომბეი**, 30 ივლისი. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული ბანკის ცნობით, ინდოეთის ოქროს ფონდი 1960 წლის 15 ივლისისათვის 272.710 კილოგრამ ოქროს ტოლი ყოფილა. ეს ოქროს ფონდი ინდოეთმა 1957 წლიდან 1959 წლამდე ოქროს ფასად 55 ცენტად შეისყიდა. ამ „ოპერაციით“ მიღებული მოგება შეადგენს 257.710 დოლარს, ანუ 2.000 პროცენტს!

# ბაგრესორთა გამდიდრების ხარბი წყურვილი

**ვაშინგტონი** ნახატს ამერიკულ ჟურნალ „იუნაიტედ ნიუსდან“, ელექტრომრეწველობისა და რადიომრეწველობის მუშათა პროფკავშირის ორგანოდან. პენტაგონის სამხედრო მოხელეს ამერიკის ხაზინიდან მიუღია ხალხის ფულით სავსე კასრი და სამხედრო მენარდეებს ეძახის: „აბა მოდით, მოერიეთ!“ და იმათაც განიერებით თხოვნა როდი სჭირდებათ.

ჟურნალი აქვეყნებს სტატიას: „ის ფული, რასაც პენტაგონი ჭარს ატანს, მილიარდიან მოგებას აძლევს მონოპოლიებს გადასახადების გადამხდელთა და მომხმარებელთა ხარჯზე“. სტატიაში მოყვანილია სამხედრო შეკვეთებით დიდი და მცირე მოგების მიღების მაგალითები.

ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა თითო დოლარად იყიდეს 272.710 ბრახნი. კომპანიამ, რომელმაც ეს ხრახნები მიჰყიდათ, თვითონ ცალი 5,5 ცენტად შეისყიდა. ამ „ოპერაციით“ მიღებული მოგება შეადგენს 257.710 დოლარს, ანუ ასობით 2.000 პროცენტს!

გამდიდრების ხარბი წყურვილი — აი რა იფარება ამერიკელ პოლიტიკოსთა მაღალფარდოვან მსჯელობაში „თავდაცვის“, ამერიკის „ძლიერების განმტკიცების“ საკითხების შესახებ.

# საერთაშორისო მოლაპარაკებანი

## ტრაუსისა და მესმერის მოლაპარაკება

**პარიზი**, 31 ივლისი. (საკდესი). „გაზეთი „პარი პრეს-ენტრანსიჟანი“ წერს, რომ მოლაპარაკების დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი შტრაუსი და საფრანგეთის საგარეო მინისტრი მესმერი „განიხილავდნენ საფრანგეთში გერმანიის ბაზების პრობლემას“. „თუ შეთანხმება ჯერ კიდევ არაა მიღწეული, — შენიშნავს გაზეთი, — ეს უმთავრესად ფსიქოლოგიური მიზეზებით აიხსნება. შინაგან საქმეთა სამინისტროში ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე წარმოიდგენენ, თუ როგორ ისეირნებენ მუნდირიანი გერმანელი ჯარისკაცები ქალაქების — კონიკისა ან მურმელონის. ქუჩებში“.

## შეიქმნება კონგოს კომისია

**ლონდონი**, 31 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, გუშინ კონგოს რესპუბლიკის მთავრობის მეორე სხდომის შემდეგ, რომელსაც ესწრებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე სპეციალურ პოლიტიკურ საკითხებში რალფ ბანჩი, გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ შეიქმნება კონგოს კომისია, კანონიერ ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია კონგოს შესახებ.

კომუნიკეში, კერძოდ, ნათქვამია: „ეს კომისია იმუშავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან მჭიდრო თანამშრომლობით იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ორი რეზოლუცია, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომლებიც კატანგის პრობლემას შეეხებიან“.

## დაგომეა აფრიკის ახალი სახელმწიფოა

**პარიზი**, 1 აგვისტო. (საკდესი). დღეს 00 საათზე გაიმართა დაგომეის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების საზეიმო ცერემონია. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობებით, შესაბამის დოკუმენტებს ხელი მოაწერეს 30 ივლისს საფრანგეთის მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა ლუი ჟაკინომ და დაგომეის პრემიერ-მინისტრმა იუბერ მაგამ.

• • •

**დაგომეა** მდებარეობს გვინეის ყურის სანაპიროზე. დასავლეთით იგი ესაზღვრება ტოგოს, აღმოსავლეთით — ნიგერიას, ჩრდილოეთით — ზემო ვოლტასა და ნიგერს. დაგომეის ფართობი შეადგენს 118 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა 1.600 ათასზე მეტ კაცს.

საფრანგეთის იმპერიალისტებმა, რომლებმაც დაგომეა დაიპყრეს გასული საუკუნის 90-იან წლებში, ახალ სახელმწიფოს მემკვიდრეობად დაუტოვეს უაღრესად ჩამორჩენილი ეკონომიკა. დაგომეელთა ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, აგრეთვე მეცხოველეობა და თევზჭერა, გლეხებს აქვთ ზეთოვანი პალმისა და ბამბის პლანტაციები, რომლებიც ევროპელებს ეკუთვნით. მრეწველობა ტიპიურად კოლონიური ხასიათისაა.

დაგომეის რესპუბლიკა რჩება საფრანგეთის გაერთიანებაში.

# ლატაკი ქოხი ოქროს საგადოებში

**ლონდონი**, 1 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „ობსერვერმა“ დაბეჭდა თავისი ლეოპოლდვილელი (კონგო) კორესპონდენტის სტატია. ავტორი წერს კონგოს მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე, სადაც მისი სიტყვით, „არ არის ყველაზე საარსებო“. ავტორი ამ ქვეყნის ეკონომიკას ადარებს ოქროს საბადოებზე აგებულ ლატაკ ქოხს. „აქ, — წერს იგი, — დაშვებული იყო უფრო უარესი რამ, ვიდრე ფიზიკური სისასტიკეა. ყველაფერი, რაც კონგოში ჩაიდინეს, უნდა მიეკუთვნოს ქეშმარიტად დამღუპველ მოქმედებას, რომელიც ოდესმე ერთ რასას ჩაუდენია მეორის მიმართ... ეს კოლონიალიზმის უდიდესი სირცხვილია“.

## კოლონიზატორთა მხეცობა

**ლონდონი**, 1 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ იოანესბურგიდან იუწყება, აღკვამად სამხრეთ აფრიკის კავშირში საგანგებო წესების საფუძველზე საპყრობილეში ზის 14 ათასი აფრიკელი, ძირითადად ახალგაზრდობა 21 წლის ასაკამდე.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ პატიმრები სამინელ პირობებში ჰყავთ, ისინი შრომაზე, წერს იგი, ვეებერთელა საკონცენტრაციო ბანაკში, რომელიც წარმოდგენს მიტოვებულ საბადოს.

## დიდი სიცხე ერაყში

**ბაღდადი**, 1 აგვისტო. (საკდესი). ამ უკანასკნელ დღეებში ერაყში ძალიან ცხელი ამინდია. ჰაერის ტემპერატურა დღისით ჩრდილში აღწევს 48-49 გრადუსს. 30 ივლისს ბაღდადში მაქსიმალური ტემპერატურა იყო 49,8 გრადუსი.

# საერთაშორისო საჭადრაკო მატჩი

**ბამბურგი**, 30 ივლისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ოსტატი ლ. აბრამოვი იუწყება: გუშინ აქ გაიმართა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მატჩის პირველი ნახევარი. საბჭოთა მოჭადრაკეები შავებით თამაშობდნენ და დიდხანს ვერ შეძლეს უპირატესობის მოპოვება. ეწინარეს ყოვლისა ოთხი პარტია ყაიმით დამთავრდა: უნციკერი სერიოზულად არ შეეცადა მიეღწია სადებიუტო უპირატესობისათვის გელერის წინააღმდეგ და საბჭოთა გროსმაისტერმა თანაბარი შანსები მიიღო. ლემანმა და ანტოშინმა ბრძოლა ბოლომდე მიიყვანეს. შავებმა პაიკის მოგებაც კი შეძლეს, მაგრამ იმის გამო, რომ დაფაზე ორი სხვადასხვა ფერის კუ დარჩა, პარტია სამშვიდობო შედეგით დამთავრდა. განსაკუთრებით მწვავედ ვითარდებოდა ტეშნერისა და ტოლუშის შეხვედრა. საბჭოთა გროსმაისტერმა ლაზიერიც კი მისცა, რომ მოგების შანსები შეექმნა, მაგრამ ეს საქმარისი არ აღმოჩნდა. სატურნირო ცხრილში მეოთხე ყაიმი ჩაწერა დარგამ კერესთან შეხვედრაში.

დანარჩენი შედეგები უფრო ხელსაყრელი იყო სსრ კავშირის გუნდისათვის. პეტიფერმა ტალის წინააღმდეგ ირცოუისე კარგად ითამაშა, რის შედეგადაც თეორების პოზიცია უიმედო გახდა. ბიალასი დამარცხდა პეტროსიანთან, მორლოკი კი ბოლესლავსკისთან.

გადადებული ტრეგერ-კოტოვის პარტია, რომელშიც საბჭოთა გროსმაისტერს მძიმე პოზიციაში თავგანწირული დაცვა მოუხდა. შავებმა სერიოზული შეცდომა დაუშვეს და ყაიმისათვის უნდა იბრძოლონ.

მეოთხე ტურის ანგარიში ჯერჯერობით ასეთია — 5:2. მატჩის პირველი ნახევრის საერთო შედეგია — 25:6 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. თავიანთ გუნდს ოთხ-ოთხი ქულა მოუტანეს ტალმა და პეტროსიანმა.

**ქომუნისტი**

მე-8 გვერდი, სამშაბათი, 2 აგვისტო, 1960 წ.

# ჩვენ რესპუბლიკის დღე



## თბილისის სტუმრები

### საქართველოს დედაქალაქში მოვიდა „მეგობრობის მატარებელი“

★

დიდი გამოცოცხლება იყო 1 აგვისტოს თბილისის ვაგზლის ბაქანზე. აქ შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები „მეგობრობის მატარებლის“ შესახვედრად. შემხვედრთა შორის იყვნენ სამრეწველო საწარმოთა ახალგაზრდა მუშები, სტუდენტები, სკოლების მოსწავლეები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები.

შუადღის 12 საათზე ბაქანს ნელა მოადგა მწვანით, ტრანსპარანტებით მორთული მატარებელი, რომლებიც ქუბას ასახამენ ხალხთა მეგობრობას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას. ფანჯრებში მოჩანან მზემოკიდებული, მხიარული, სიხარულით აღსავსე ქალიშვილები და ჰაბუკები. დამსწრენი გულთბილად მიესალმებიან სტუმრებს. მათ მიართვეს ყვავილების ღამაზი თაიგულები.

„მეგობრობის მატარებლით“ ჩამოვიდა 400 კაცი — ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის, ვიეტნამის, ინდონეზიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ერაყის, ცეილონის, პერუსა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების სტუდენტები, ახალგაზრდა მუშები, მოსამსახურეები.

„მეგობრობის მატარებელი“ წამოვიდა მოსკოვიდან და ულანბატორი იყო დონის როსტოვში, პიატიგორსკში, კისლოვოდსკში, მაკაჩყალაში, ბაქოში, მოგზაურობის მონაწილენი ახალ, თბილისელ მეგობრებს უზიარებენ შთაბეჭდილებებს, აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობის მოგონება დიდხანს დარჩება მათ მეხსიერებაში.

ლობანელი ირანინ ნაზიმი, რომელიც მოსკოვის სურიკოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობს, ამბობს, რომ დიდი ხანია ოცნებობდა ჩამოსულიყო საქართველოში, რომელზედაც ბევრი რამ იცის ლიტერატურიდან და ზოგიერთი თავისი ამხანაგის ნაამბობიდან, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში იყვნენ.

— საქართველოს მე ვამსგავსებ ცეილონს. როგორც საქართველოში, ისე ჩვენში, ცეილონში მოჰყავთ ჩაი, — ამბობს დისანაიაკა ვენზილი, შორეული ცეილონიდან ჩამოსული ჭაბუკი, რომელიც უმაღლეს განათლებას იღებს მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში. საქართველოს, მისი ახალგაზრდობის გაცნობა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. და მოხარული ვარ, რომ იგი განხორციელდა.

საღამოს „მეგობრობის მატარებლით“ ჩამოსული ახალგაზრდობა ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შეხვდა რესპუბლიკის დედაქალაქის ჭაბუკებსა და ჭაბუკებს.

2 აგვისტოს სტუმრები გაეცნობიან თბილისის ახალშენებებს, მის ღირსშესანიშნავ ადგილებს. ღამით ტურისტები გაემგზავრებიან ბათუმში, შემდეგ სოხუმში, გაგრაში, გუდაუთასა და შავი ზღვის სანაპიროს სხვა ქალაქებში. (საქდენი).

## ხელოვნების ქრონიკა

**თბილისის** კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი კახეთის რაიონებში იმყოფება საგასტროლოდ. ამ დღეებში თეატრის კოლექტივი ყვავილს ეწვია და მაყურებელს უჩვენა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი ლ. გოთუას „ერეკლე მეორე“. საინტერესოა ის არის, რომ „სპექტაკლი „ერეკლე მეორე“ გაიმართა იმ ციხე-გალავანში, საიდანაც „პატარა კახის“ მეთაურობით ქართველი მხედრები თავზარს სცემდნენ მოთარეშე ლეკებს. ამ ციხე-გალავანში ამჟამად მოთავსებულია ყვარლის სტადიონი. სპექტაკლს 3.000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

**ლაგოდეხის** სახალხო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ს. მთვარაძის სამმოქმედებიანი დრამა „სახსოვარი“. პიესა დადგა კულტურის სახლის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელმა მ. თანდაშვილმა, მხატვრულად გააფორმა ა. დუნდუკოვმა, მუსიკა ეკუთვნის გ. მირიანაშვილს. როლები შეასრულეს ო. ზედელაშვილმა, დიასახლისმა ფ. მირიანაშვილმა, თ. მესხიშვილმა და სხვ. კარგად ითამაშა მერვეკლასელმა მოსწავლემ მ. იაგოროვმა. პრემიერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

მ. გოგოსაშვილი.

**მახარაძე.** (საკ. კორ.). გურიანთის საკრმეურნეო კლუბთან არსებულმა თვითმოქმედმა დრამატულმა კოლექტივმა (ხელმძღვანელი შ. მეავია) წარმატებით განაბორციელა ვ. გუნიას დრამის „დაქმის“ დადგმა. როლების საუკეთესო შესრულებით მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს სოფლის მოწინავე ახალგაზრდებმა: ო. კვაჭანტირაძემ, ვ. ჭეიშვილმა, გ. კვაჭანტირაძემ, კოლმეურნეებმა: ლ. ანდღულაძემ, ნ. ქველაძემ და ვ. ვარამაშვილმა.

## ტყის მკვლევარები

საინტერესო სამეცნიერო მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტყეო ინსტიტუტი ჩვენი ბუნებრივი ტყეების დაცვისა და გაშენების საქმეში. ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა მრავალ მნიშვნელოვან პრობლემასთან ერთად შეისწავლეს საქართველოს უტყეო ფართობები, ტყეების გაჩეხის მავნე შედეგები და დასახეს ღონისძიებანი ამ ადგილებზე მცენარეთა სამრეწველო ჯიშების გასაშენებლად.

გამოირკვა, რომ ზოგიერთ მთიან ადგილებში ტყის უსისტემო ჩეხის შედეგად შეიქმნა გამეჩხერებული ადგილები, სადაც ტანმაღალ ხეთა ნაცვლად განვითარდა ბუჩქოვანი მცენარეები.

ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები წლების განმავლობაში მუშაობდნენ ასეთი ტყეების აღდგენის საკითხებზე და შეიმუშავეს მეთოდი გამეჩხერებული ტყეების რესტავრაციისა მსხვილტანიანი ნერგების დარგვით. ამასთან საჭირო გახდა მექანიზებული წესით ბრძოლა ქეიტყესთან. ამ საქმეში გამოსცადეს ტრაქტორზე დამონტაჟებული ბუჩქსაჭრელი მექანიზმები, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

ამჟამად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სატყეო მეურნეობის ნაკრძალებისა და სამონადირო მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიღებული აქვს ბუჩქსაჭრელი მექანიზმები. წელსვე დაიწყება მათი გამოყენება სატყეო მეურნეობაში.

ინსტიტუტში დამუშავდა და გამოსაცემად მომზადდა მონოგრაფია „კავკასიის დენდროფლორა“, რომელიც მოიცავს კავკასიაში გავრცელებული ყველა მერქნიანი, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთიდან შემოტანილი ჯიშის აღწერას. მონოგრაფიაში, რომელიც რამდენიმე ტომად გამოდის, აღწერილია ცალკეული ჯიშების ზრდა-განვითარების პირობები, მათი გამოყენის აგროწესები და თავისებურებანი. ეს შრომა დიდად დაეხმარება როგორც აგრონომებს, ისე ქალაქებისა და რაიონების გამწვანების დარგში მომუშავეებს, მეტყევე სპეციალისტებს და სტუდენტებს.

დღეგრო ფლორის შედგენაზე მუშაობენ ინსტიტუტის დირექტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. გულისაშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლ. მახათაძე, დოცენტები ვ. მათიკაშვილი და ვ. მირზაშვილი.

წიგნი გამოვა ხუთ ტომად. მას გამოსცემს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. წელს მკითხველები მიიღებენ ამ მონოგრაფიის I ტომს.

ლ. ხუბულური.



ეს მოზარდი სპორტსმენები ჩვენი-რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები არიან. მათ მოსწავლეთა სპარტაკიადაზე გაიცნეს ერთმანეთი და მალე, როგორც ხედავთ, საერთო ენაც გამონახეს. მეგობრობას ხომ მისწრაფებების, მიზნების ერთიანობა ბადებს. მათს სპორტულ მეგობრობასაც ერთი მიზანი, ერთი მისწრაფება აღუღობებს — გახდნენ საბჭოთა სპორტის ბრწყინვალე ტრადიციების სახელოვანი დამცველები.

**სურათზე:** მოზარდი ტანმოვარჯიშეები იზაბელა მარჭაროვა (ახალციხე), ოლგა კოტაევა (სტალინირი), ოთარ ჯინჭიხაშვილი (თბილისი), თემური ჩიხლაძე (ქუთაისი) და დონარა ჯანგულაშვილი (თბილისი).

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## მოკლედ

□

### საკონსერვო ქარხანა

**ხობი.** (საკ. კორ.). რაიონის აღგილობრივი მეურნეობის კომბინატმა ააშენა საკონსერვო ქარხანა, რომლის წლიური წარმადობა 2 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი იქნება. ამ დღეებში ქარხანამ გადაამუშავა ახალი ხილის მოსავალი და გამოუშვა 5 ათასი პირობითი ქილა კონსერვი. ქარხანას ხილით მოამარაგებენ ხობის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონების კოლმეურნეობები და მოსახლეობა.

### ახალი საავადმყოფო

**ჩოხატაური.** (საკ. კორ.). ამ დღეებში სოფელ ხიდისთაოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გაიხსნა 25-ადგილიანი საავადმყოფო, რომელსაც აქვს თერაპიული, სტომატოლოგიური, ინფექციური, ქირურგიული, სამშობიარო განყოფილებები, აგრეთვე ლაბორატორიები.

## ჩინელი კალათგურთელები თბილისში





საბჭოთა კავშირში რამდენიმე დღეა სტუმრად იმყოფებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები, რომლებიც სხვადასხვა ქალაქებში მართავენ საერთაშორისო შეხვედრებს.

უკანასკნელ ხანებში ჩინელი კალათბურთელები პოპულარული გახდნენ. ახლა ისინი წარმატებით გამოდიან სხვადასხვა ტურნირში, საერთაშორისო მატჩებში. მათი თამაში გამოირჩევა ტემპიანი ბრძოლით, კომბინაციებით. ბურთის ზუსტი ტყორცნით, სპორტსმენთა კარგი ფიზიკური მომზადებით.

ჩინელი და საბჭოთა კალათბურთელები არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. ჩინეთში იყვნენ ჩვენი ქვეყნის ქალთა და ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრებები, რომელთა რიგებში სხვებთან ერთად გამოდიოდნენ საქართველოს წარმომადგენლები.

გასულ კვირადღეს ჩინეთის ნაკრები გუნდები ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდნენ. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში სტუმრებს გულთბილი მიღება მოუწყეს. სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, სპორტული ნაგებობანი, მოაწყეს წვრთნა.

პირველი მატჩი ჩვენს სტუმრებს ჰქონდათ ლენინგრადში, სადაც შეხვდნენ ადგილობრივი სკიფის ქალთა და „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდებს. ორივე მატჩი წარიმართა ჩინელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 73:62 და 85:68.

ეს ანგარიში მეტყველებს იმაზე, თუ რა სიძლიერის გუნდებთან ექნებათ დღეს და ხვალ საქმე თბილისელ კალათბურთელებს. დღეს ჩინელ კალათბურთელებს კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე შეხვდებიან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა და თბილისის „დინამოს“ ვაჟთა გუნდები.

### მეორე წრის მატჩი

დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მეორე წრე კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის, სადაც გამოდის „ა“ კლასის 12 უძლიერესი კოლექტივი.

31 იანვარს თბილისში კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონზე შედგა ერთ-ერთი პირველი მატჩი საქართველოსა და დონის როსტოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტების ქალთა გუნდებს შორის.

როსტოველებთან მატჩში ჩვენმა კალათბურთელებმა შეიარაღით სუსტად ჩაატარეს პირველი ტაიმი და წააგეს იგი 2 ქულით (20:22). შეჯიბრების მეორე ნახევარში თბილისელი კალათბურთელები უფრო კოლექტიურად, ორგანიზებულად და მონდომებით თამაშობდნენ. მათ მალე გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ დაწინაურდნენ და გაიმარჯვეს 46:42.

### ოლიმპიური ასპარეზობისწინა ტურნირი მოსკოვში

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების ოლიმპიური ასპარეზობისწინა ტურნირი.

უკანასკნელ შეხვედრებში სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები დამარცხდა ბულგარელებთან 65:75, ხოლო ჩვენი ქვეყნის საკლუბო ნაკრებმა მოუგო საფრანგეთის გუნდს 85:64.

ამრიგად, ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს ბულგარელებმა. სსრ კავშირის საკლუბო ნაკრები გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა, მესამე ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიის გუნდმა.

### ცსკ-ას გუნდს დამარცხება ჩაეთვალა

როგორც ცნობილია 19 ივლისს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გამართული მეორე წრის მატჩი ფეხბურთში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კიევის „დინამოს“ გუნდებს შორის უხეში თამაშისა და სტადიონზე უწესრიგობის გამო ჩაეშალა.

გუშინ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა ეს საკითხი და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს, რომელმაც სტადიონის დირექციასთან ერთად ვერ უზრუნველყო თამაშის ნორმალური პირობები, წესრიგი, ამასთანავე გამოავლინა უხეშობა, მატჩი კიევის „დინამოსთან“ წაგებულად ჩაეთვალა ბურთების გაუთვალისწინებლად.

ცსკა-ს მოთამაშე ვ. კრილოვი დისკვალიფიცირებულია 2 წლით, ხოლო ნ. ლინიაევს, დ. ბაგრიჩს (ორივე ცსკა-დან) და ვ. ტურიანჩიკს მიეცათ მითითება.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირმა.

## კ. პ. ჩიქოვანი

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ნეიროქირურგი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სკკპ წევრი, პროფესორი კონსტანტინე (ბონდო) პლატონის-ძე ჩიქოვანი.

კ. ჩიქოვანი დაიბადა 1908 წელს ახლანდელი ზუგდიდის რაიონის სოფ. ჩხორიაში მოსამსახურის ოჯახში. 1926 წელს საშუალო სკოლა დაამთავრა და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1931 წელს და მუშაობა დაიწყო დმანისის რაიონში საბჭოთა მეურნეობის ჯანპუნქტის ექიმად.

1934 წელს კ. ჩიქოვანი შევიდა კ. ლენინგრადის ნეიროქირურგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1937 წელს დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. 1938 წელს იგი ბრუნდება ქ. თბილისში და მუშაობას იწყებს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო ქირურგიული კლინიკის ასისტენტად, ერთდროულად ხელმძღვანელობს იმავე კლინიკის ნეიროქირურგიულ განყოფილებას. 1939 წელს კ. ჩიქოვანს ირჩევენ დოცენტად.

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე იგი ხელმძღვანელობს სპეციალიზებულ ნეიროქირურგიულ ჰოსპიტალს, ამასთანავე 1942 წლიდან მუშაობს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში ჯერ დოცენტის, ხოლო შემდეგ პროფესორის თანამდებობაზე.

1945 წელს კ. ჩიქოვანმა ლენინგრადის ინიციატივით ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოში პირველი ნეიროქირურგიული კლინიკური განყოფილება, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა.

1949-1953 წლებში კ. ჩიქოვანი მუშაობდა ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილში. 1955 წ. მას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1958 წ. კ. ჩიქოვანი აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული ნეიროლოგიის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში, სადაც მას ირჩევენ კლინიკური ნეიროქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელად.

თითქმის 30 წელს ემსახურებოდა კ. ჩიქოვანი მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს. მისმა ნაყოფიერმა საექიმო, პედაგოგიურმა, სამეცნიერო და საზოგადოებრივ-ორგანიზატორულმა მუშაობამ ღრმა კვალი გაავლო ქართული სამედიცინო აზროვნების ისტორიაში.

მედიცინის დარგში დიდი დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

კ. ჩიქოვანის გარდაცვალება დიდი დანაკლისია საბჭოთა მედიცინისათვის.

**საკ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საკ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საკ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი, საკ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის ს.-კ. ინსტიტუტი, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი, საქართველოს ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოება, საქართველოს ქირურგთა სამედიცინო სამეცნიერო-საზოგადოება.**

## სსრ კავშირის პირველობაზე

### მეორე ქვეჯგუფი

გასულ კვირადღეს სტალინში, მოსკოვში, კიევში, ბაკოსა და ლენინგრადში გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მორიგი მატჩები ფეხბურთში მეორე ქვეჯგუფის გუნდებისათვის.

**სტალინში** სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა მოსკოვის „სპარტაკმა“ დაამარცხა ადგილობრივი „შახტიორი“ ანგარიშით 3 : 1; **მოსკოვში** მეორე ქვეჯგუფის ლიდერმა დედაქალაქის „ლოკომოტივმა“ მოუგო კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ 4 : 1; **კიევში** ვილნიუსის „სპარტაკმა“ წაადგა შეხვედრა ადგილობრივ „დინამოსთან“ 1:6; **ბაკოში** „ნეფტიანიკმა“ დაამარცხა ალმა-ატის „კაირატი“ 4:0; **ლენინგრადში** მინსკის „ბელარუსისა“ და ლენინგრადის „ადმირალტეეცის“ გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 1:1.

### „მცირე ოლიმპიადა“

ლენინგრადში დამთავრდა სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდური ასპარეზობა მსოფლიო პირველობაზე.

მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მოჭადრაკეებმა სსრ კავშირის გუნდთან მატჩი 2,5:1,5 დაამთავრეს, ხოლო უკანასკნელ ტურში გათამაშების ცხრილში კიდევ 2 ქულა ჩაიწერეს, მათთვის 41 ქულით პირველობა უზრუნველყოფილი შეიქნა. მეორე ადგილი დაიკავეს საბჭოთა სტუდენტმა მოჭადრაკეებმა. მესამე ადგილზე გამოვიდა იუგოსლავიის გუნდი.

### „ტორპედო“ პირველ ადგილზე

თბილისის „განთიადის“ საცურავ აუზში დამთავრდა პროფკავშირთა სასპორტო საზოგადოებების საკავშირო ასპარეზობა წყალბურთში.

შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს მოსკოვის ტორპედოელებმა, რომლებმაც ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის „ბურევესტნიკის“ გუნდი, მესამეზე — თბილისის „ბურევესტნიკი“.

გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები.

**3 და 4 აგვისტოს** დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 17-22, დღისით 25-30 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 11-16, დღისით 23-28 გრადუსი.

## ამინდი

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 15-20, დღისით 30-35 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 9-14, დღისით 22-27 გრადუსი.


რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

**2 აგვისტო**

**თეატრები:** ფილარმონიის საზაფხულო — სიმფონიური ორკესტრი კარლ ვლახის (ჩეხოსლოვაკია) ხელმძღვანელობით.

**ტელევიზია:** 19.00 — გადაცემა — ვემზადოთ სპორტის ტექნიკურ სახეობათა პირველი სპარტაკიადისათვის, 19.15 — საუბარი — „ქუჩაში მოძრაობის ახალი წესები“, 19.30 — კონცერტი ციკლიდან — „გამოჩენილი საბჭოთა მომღერლები“, 19.50 — კინოჟურნალი, 20.00 — „ახალი წიგნები“, 20.20 — ახალი ამბები — დღეს მცხეთაში, 20.30 — ახალი მხატვრული ფილმი „სერიოჟა“.


## ცეკავშირის თბილისის ორწლიანი კოოპერაციული სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1960-61 სასწავლო წლისათვის სავაჭრო და კულინარულ განყოფილებებზე.**

**სასწავლებელი ამზადებს:** რაიკოოპკავშირის და სოფლის კოოპერატივების სავაჭრო საწარმოთა გამგეებელებს, სექციონერებს, გამგეებს და საზაკვების ფუშაკებს (მზარეულ-კონდიტრებს).

**სასწავლებელში მიიღებიან** ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება.

**სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობა მიეცემათ:** ვაჭრობისა და საზაკვების დარგის პრაქტიკულ მუშაკებს, ინდივიდუალური სწავლების კურსდამთავრებულთ და ქალებს.

სწავლება იწარმოებს ქართულ ენაზე

**განცხადებები მიიღება** 1960 წლის 10 აგვისტომდე.

**განცხადება შემოტანილ უნდა იქნას** დირექტორის სახელზე, განყოფილების ზუსტი აღნიშვნით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. რაიკოოპკავშირის (რაიკოოპერატივის) მოწმობა, 2. ცნობა მომხმარებელთა კოოპერაციაში მუშაობის ან ინდივიდუალური პრაქტიკული სწავლების კურსის დამთავრების შესახებ (რომლებსაც აქვთ სისტემაში მუშაობის სტაჟი ან დამთავრებული აქვთ ინდივიდუალური პრაქტიკული სწავლების სრული კურსი), 3. დახასიათება: ა) იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ მუშაობის სტაჟი — უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ბ) ვისაც არა აქვს მუშაობის სტაჟი — კომკავშირის რაიკომიდან ან სხვა ორგანიზაციებიდან (კოლმეურნეობიდან, სასოფლო საბჭოდან და სხვ.); 4. განათლების მოწმობა (დედანი); 5. დაბადების მოწმობა (ნოტარიუსის მიერ დამოწმებული პირი), 6. ავტობიოგრაფია, 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 8. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, 9. ოთხი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ, 10. პასპორტი და სამხედრო ბილეთი (უნდა წარმოადგინონ პირადად).

**ჩარიცხვა იწარმოებს** არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გასაუბრების შედეგებისა და ატესტატების კონკურსის საფუძველზე.

**გასაუბრება იწარმოებს** 10-დან 20 აგვისტომდე.

სასწავლებელში სავაჭრო განყოფილებაზე ჩარიცხულთ I კურსზე მიეცემათ სტიპენდია 200 მანეთის ოდენობით, კულინარულ განყოფილებაზე ჩარიცხულთ I სემესტრში 200 მანეთი, ხოლო II სემესტრიდან: საშუალოსნებს 200 მანეთი, კარგოსნებს 250 მანეთი და ფრიადოსნებს — 25% მეტი, ვიდრე კარგოსნებს.

სასწავლებელში ჩარიცხულთ ბინის დასაქირავებლად მიეცემათ თვეში 30 მანეთი (აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში საწოლის მოწყობილობა) და უზრუნველყოფილი იქნებიან სასადილოს მომსახურებით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

**სასწავლებლის მისამართი:** თბილისი, საბურთალო, პავლოვის ქ. № 37, საფოსტო განყ. № 49. ტელ. № 2-17-12.





## მონადირეთა საყურადღებოდ!

### ნადირობის ვადები და წესები 1960-61 წლის სანადირო სეზონისათვის

**ნადირობა ნებადართულია**

ხუთშაბათითით, შაბათითით და კვირაობით

**მწყერზე, ქრონშნეპზე, ქედანზე, გვრიტზე, ვეფან მტრედზე, მელოტაზე, ჭობის ქათამზე,** ღალღზე და იმ ნადირსა და ფრინველზე, რომლებიც ამ განცხადებაში არ არის ჩამოთვლილი — 14 აგვისტოდან 1 მარტამდე.

**ტყის ქათამზე** — აღმოსავლეთ საქართველოში 1 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე და 15 მარტიდან 15 აპრილამდე, ხოლო დასავლეთ საქართველოში 15 ოქტომბრიდან 31 იანვრამდე და 1-დან 30 აპრილამდე.

**ჭოვილოსა** და **ჭყიამპოზე** — 1 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე და 15 აპრილიდან 31 მაისამდე.

**წყალმცურავ ფრინველზე** (ბატი, იხვი) 15 ნოემბრიდან 1 მარტამდე, ხოლო ახალქალაქის, ბოგდანოვკის და წალკის მაღალმთიან რაიონებში 15 აგვისტოდან 1 მარტამდე.

**ალტაის ციყვზე** — 15 ნოემბრიდან 1 მარტამდე.

**სარსარაკზე** და **სავათზე** 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე.

**კვერნაზე** — 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე.

**ყველა მავნე მტაცებელ ნადირზე** (მგელი, ფოცხვერი, აფთარი, დათვი, ტორა, გარეული კატა, მელა, ეხოტისებრი ძაღლი, მაჩვი, ბრელტყავა) და მავნე მტაცებელ ფრინველზე — მთელი სანადირო სეზონის განმავლობაში, ხოლო 1 მარტიდან 15 აგვისტომდე წერილობითი ნებართვით.

**ერთ ნადირობაზე, რამდენ დღესაც უნდა გაგრძელდეს იგი, ერთ მონადირეს ნება ეძლევა მოიპოვოს:** წყალმცურავი ყველა სახის ფრინველი — არაუმეტეს 10 ცალისა, სარსარაკი არაუმეტეს 10 ცალისა, სავათი არაუმეტეს 2 ცალისა, მწყერი არაუმეტეს 30 ცალისა, ჭოვილო არაუმეტეს 15 ცალისა, ტყის ქათამი არაუმეტეს 10 ცალისა.

**ნადირობა აკრძალულია**

ჯეირანზე, ნიამორზე, ნუტრიაზე, ამერიკულ წაულაზე, ღედოფალაზე, ფურაჯზე, თეთრ ყანჩაზე, გედზე, თეთრ და შავ ყარყატზე, კოდალაზე, გუგულზე და ყველა მგალობელ ფრინველზე განუსაზღვრელი ვადით.

ირემზე, ჯიხვზე, არჩვზე, შველზე, გარეულ ღორზე, კუდრღელზე, წავზე, ხოხობზე, კავკასიურ შურთხსა და როჭოზე, კაკაბსა და გნოლზე 1962 წლის 1 იანვრამდე.

ყოველგვარი ნადირობა აკრძალულია სახელმწიფო ნაკრძალების, გარდაბნის სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობის, „ყორეულის“ ხოხბის საჯიშე მეურნეობის (საგარეჯო) და „ქარიათას“ ხოხბის საჯიშე მეურნეობის (ხობი) ტერიტორიებზე და ორი კილომეტრის ზონაში ამ მეურნეობათა გარშემო.

ნადირობა აკრძალულია აგრეთვე ყველა სანადირო აღკვეთილის ტერიტორიაზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების გადაწყვეტილებით.

აჭარის ასსრ ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი საგაზაფხულო ნადირობა, ხოლო დმანისის რაიონის მთელ ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი ნადირობა მთელი წლის განმავლობაში.

მიწერილი სანადირო მეურნეობების ტერიტორიებზე სანადიროდ დაიშვებიან იმ სამონადირეო საზოგადოებათა წევრები, რომლებზეც მიწერილია ეს მეურნეობა, სხვა მონადირეები კი მხოლოდ მეურნეობის მფლობელის ნებართვით.

**დანარჩენ ადგილებში ნადირობა ნებადართულია სანადირო ბილეთის მქონე მონადირეთათვის.**

აკრძალულია ყოველგვარი ნანადირევი პროდუქციის გაყიდვა ხელზე. ნანადირევის შესყიდვასა და გასაღებას აწარმოებენ მონადირეთა საზოგადოებების მაღაზიები და დამამზადებელი ორგანიზაციები.

**მეთევზეთა საყურადღებოდ:** ჯანდარის ტბაზე, ისევე როგორც ყველა იმ წყალსაცავებში, სადაც ტარდება თევზის აკლიმატიზაციისა და კვლევწარმოების ღონისძიებები, ყოველგვარი თევზის ჭერა აკრძალულია.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო**



**ჩვენი მისამართი და ტელეფონები:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ხელოვნების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, ილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 04226

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

2